

**BTU**

გიზნესისა და  
ტექნოლოგიის  
უნივერსიტეტი

# ანბნარიში

2024 წლის

BTU2024 WWW.BTU.EDU.GE BTU2024 WWW.BTU.EDU.GE BTU2024 WWW.BTU.EDU.GE BTU2024 WWW.BTU.EDU.GE

BTU-მ ახალი კამპუსის მშენებლობა დაასრულა, რომელიც მრავალფუნქციურ სივრცეებს, ახალი ლაბორატორიებს, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ აუდიტორიებს და სხვა მულტიმედია ოთახებს აერთიანებს.

BTU-მ ქალთა ტექნოლოგიებში გაძლიერებისთვის საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისგან საქართველოში 1 მილიონი ევროს დაფინანსება მიიღო.

COMING  
SOON

BTU iOS LAB Apple-ის ავტორიზებული სასწავლო ცენტრი გახდა.

BTU ევროკავშირის ARTIFICIAL INTELLIGENCE SKILLS ALLIANCE-ის (ARISA) წევრი გახდა.



საბაკალავრო პროგრამა  
ფსიქოლოგია ციფრულ საზოგადოებაში

სამაგისტრო პროგრამა  
ციფრული მარკეტინგი 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამა მონაცემთა ანალიზის ციფრული მარკეტინგი 60 ECTS

# BTU AI

AI Marathon - ის ფარგლებში, 2024 წელს ჩატარდა 2 მსხვილი ჰაკათონი სტუდენტებისთვის - ჯამში 35 000 ლარიანი საპრიზო ფონდით. მონაწილეობა მიიღო 350-მდე სტუდენტმა საქართველოს 20-ზე მეტი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. ჰაკათონის ფარგლებში შეიქმნა AI გადაწყვეტები საგანმანათლებლო და კიბერუსაფრთხოების სექტორებისთვის.

AI-ს მიმართულებით ჩატარდა სრულად დაფინანსებული ტრენინგების სერია BTU-ს პარტნიორი და მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის, რომელიც სულ 5 სხვადასხვა თემას მოიცავდა.

AI LAB-ის ორგანიზებით ჩატარდა 2 სტუდენტური ფორუმი, სადაც მონაწილეობა 200-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

AI Lab-ის ორგანიზებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ჰელსინკის უნივერსიტეტის (ფინეთი) თანამშრომლობის ფარგლებში, გაიარეს ხელოვნური ინტელექტის კურსი - "Ethics of AI".

AI Week - სილიკონ ველი თბილისისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საერთო პროექტი - AI წიგნიერების სკოლა, რომელიც 13-18 წლის მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, შეისწავლონ ხელოვნური ინტელექტის პრინციპები, აპლიკაციები და ეთიკური გამოწვევები. 6 დღიანი ინტენსიური პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების მომავლის ტექნოლოგიური გამოწვევებისთვის მომზადებას და AI-ის უსაფრთხო და ეთიკური გამოყენების საფუძვლების შექმნას.

# AI WEEK AI WEEK

BTUAI - ანალიტიკური პლატფორმა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის და დარგობრივი ექსპერტების კოლაბორაციით შეიქმნა და ვითარდება. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების, კვლევების და სხვა მეგამონაცემების გამოყენებით, BTUAI აგენერირებს ანალიტიკურ მასალას ბიზნესის სხვადასხვა სექტორის, ეკონომიკის ცალკეული დარგების შესახებ, სფეროების შესაბამისად აგროვებს ამუშავებს მასალას და აკეთებს შესაბამის პროგნოზებს, რომელიც სექტორულ განვითარებას და გამომწვევებს, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე წარმოაჩენს.



2023 წლის  
ეკონომიკური ზრდის  
მოკლევადიანი შედეგები

ნოემბერი 15, 2024



საერთაშორისო ფულადი  
გაყვანილობის ბოლო  
მოწვევები

ნოემბერი 15, 2024



ჩართო უნდა ამოყვანოთ  
ჩვენ სამსახურში? –  
როგორ უკავსოთ  
ყველაზე რთვად

ნოემბერი 11, 2024



საერთაშორისო საბაზო  
ვარჯიშის ბოლო  
გაყვანილობები:  
ეკონომიკის ზრდა და  
ინფრასტრუქტურის  
შემდგენლობა



შნაბის მომავალი  
გაყვანილობა შენობის  
სამშენობლო

ნოემბერი 11, 2024



კვანძური ხალოვნური  
ინფრასტრუქტურა –  
კვანძური  
ახლოსა

ნოემბერი 11, 2024


**BTU**-ს 8 პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, მათ შორის არის ახალი საბაკალავრო პროგრამა AI-ს მიმართულებით - "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" და ახალი, 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის."

მომზადდა ახალი საბაკალავრო პროგრამა **"ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში"** - დაწყებულია პროგრამის აკრედიტაციის წარმოება და მთავრდება მარკეტინგის მიმართულების ორი ახალი სამაგისტრო პროგრამის (120- და 60-კრედიტიანი) მომზადება.

**AI4GLOBE** - ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების პირველი საერთაშორისო პროექტი საქართველოდან მსოფლიოში BTU-ს ინიციატივით დაიწყო.

**BTU European Science Diplomacy**-ს ალიანსის წევრი გახდა.

პირველად საქართველოში, **BTU-ს** ორგანიზებით, **COST ENIS-ის** - ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, სადაც მონაწილეობას 30-მდე ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 100-ზე მეტი პროფესორი, მკვლევარი და პრაქტიკოსი იღებდა.



გაგრძელდა BTU-ს წევრობა MIT-ის Martin Trust Center-ში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა:

**BTU-ს** პრე-აქსელერაციის პროგრამა, სადაც MTC-ის ექსპერტებმა ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს პროგრამის მონაწილე სტარტაპებს.

ვენჩურული ფონდი Propeller-ის პარტნიორი სტივენ ფოქსის თოქი თემაზე - The Climate Tech Investment Landscape.

ანტრეპრენერისა და ლექტორის, შერმან დეილის მასტერკლასი თემაზე - Making the Buy, Build or Partner Decision & Creating Win Win Corporate-Startup Partnership.

რეზიდენტი ანტრეპრენერისა და ვილიამსის თოქი თემაზე - Integrating GenAI into Entrepreneurship Education in Corporations & Universities.

MIT-ს სტუდენტების ვორქშოფი თემაზე - ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება და განმამტკიცებელი დასწავლა.

**BTU-ს** ჰაკათონის - AI-ს ინტეგრირება განათლებაში მონაწილეებისთვის ჩატარდა MIT - Martin Trust Center-ის რეზიდენტი ანტრეპრენერისა და FindOurView-ს თანადაამფუძნებლის ჯორჯ ვიტფილდის მასტერკლასი თემაზე The Impact of Generative AI on Business and the Future of Innovation.

**BTU-ს** ჰაკათონის - AI და კიბერუსაფრთხოება მონაწილეებისთვის ჩატარდა MIT - Martin Trust Center-ის რეზიდენტი ანტრეპრენერისა და FindOurView-ს თანადაამფუძნებლის ჯორჯ ვიტფილდის მასტერკლასი თემაზე Generative AI - Origins, Trends and Impact on Cybersecurity.

**BTU-ს** ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის – Harvard MOC Affiliate Network წევრობა განახლდა. აღნიშნული წევრობის ფარგლებში უნივერსიტეტს სასწავლო პროცესში ჰარვარდის სასწავლო რესურსებისა და მეთოდოლოგიის გამოყენების საშუალება აქვს, როგორც „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის“ მიმართულების კურსების, ისე სხვა საგნების ფარგლებში – ჰარვარდის რესურსების მიხედვით სწავლება BTU-ში 2023 წლიდან დაიწყო.

წევრობის ფარგლებში აფილირებული წევრის სტატუსით, BTU-ს ასოცირებული პროფესორი სასწავლო ვიზიტით ჰარვარდში გაემგზავრა.

აფილირებული წევრის სტატუსით, BTU-ს გუნდს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს თემატურ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, საერთაშორისო კოლაბორაციულ ინიციატივებსა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტების განვითარებაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტრატეგიული ცოდნის პლატფორმასთან პარტნიორობის ფარგლებში, BTU-ს 19 კვლევა, ანგარიში და მნიშვნელოვანი სიახლე SI-ს პლატფორმაზე განთავსდა.

**BTU** პირველი უნივერსიტეტია, რომელიც სტრატეგიული ინტელექტის პლატფორმას სასწავლო პროცესში სამაგისტრო საფეხურზე იყენებს.

**BTU**-ს სტუდენტების ჩართულობით, სასწავლო პროცესების მართვის სისტემისთვის, შემუშავდა AI ასისტენტი - ClassroomAI.

**BTU**-ს, გაეროს ბავშვთა ფონდის, იუსტიციის სამინისტროს, სამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციების პარტნიორული ინიციატივის შედეგად პროექტ Junior Tech ფარგლებში 60-ზე მეტმა ახალგაზრდამ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფიდან თბილისსა და ბათუმში ციფრული უნარები გაიუმჯობესა.

**BTU**-ში მარკეტინგული ტექნოლოგიების (MARTECH) ლაბორატორია დაფუძნდა.

**BTU** ORACLE-ის მიერ დაფუძნებული აკადემიის წევრი გახდა.

**BTU** ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრი გახდა.

**BTU** 2024 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის „მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებული გახდა.

**BTU**-მ, აზერბაიჯანის ADA უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციის – COP29 (Conference of the Parties) – პარალელურად უმასპინძლა პირველ ონლაინ დისკუსიას თემაზე - აკადემიური ინსტიტუციების როლი კლიმატის ცვლილების გამომწვევების საპასუხოდ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რომელთაც აკადემიური საქმიანობის სურვილი აქვთ, BTU-მ სპეციალური ლექტორების აკადემია დააფუძნა.

# 10374

BTU-ში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი 10374 -მდე გაიზარდა

# 100+

BTU-მ თანამშრომლობა დაიწყო 100-ზე მეტ ახალ პარტნიორ ორგანიზაციასთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე

# 31

BTU-მ გამოსცა 31 სამეცნიერო პუბლიკაცია და 3 კვლევითი ანგარიში - ციფრული ეკოსისტემის დაიჯესტის ფარგლებში

# 10 000

ტექნოლოგიების მიმართულებით გადამზადებული ქალების რიცხვი 10 000-მდე გაიზარდა

# 50

BTU-ს 50-მდე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ეწვია პარტნიორ უნივერსიტეტებს მოკლევადიანი სრულად დაფინანსებული ვიზიტების ფარგლებში;

# 62

**უწყვათი** განათლების პროგრამაში ჩაერთო 62 კურსდამთავრებული, მათ მიერ არჩეული ჯამური სასწავლო კურსების რაოდენობა - 173.

# 594

BTU-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა 594-მა სტუდენტმა დაამთავრა

# 60

BTU-ს 60-მდე სტუდენტმა განაგრძო სწავლა პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული სემესტრული ან /და ორი სადიპლომო პროგრამების ფარგლებში და მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სკოლებში

# 20000+

BTU-მ საქართველოში მცხოვრები ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატისთვის მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კურსები, ტრენინგები და პროექტები განახორციელა;

# 5

BTU-ს სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის გაიმართა 5 დასაქმების ფორუმი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY**

სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის საერთაშორისო

**BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY**

სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის საერთაშორისო

**BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY**



ბიზნესისა და  
ტექნოლოგიების  
უნივერსიტეტი

# 2024 წლის ანგარიში